



თბილისი-დახარის რეისის ინციდენტისას ფრანის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია

A6



დავით მირცხულავას საქმეზე მეორე ინსტანციის სასამართლოში გადაინაცვლა

A7



მეცხრე ფესტივალი - "ისტარე პრომოუშენის" წარმატებული მსდელი

B2

www.24hours.ge

# 24საათი

ყოველდღიური

ბაზატი 24 საათი

ორშაბათი, 27 ივნისი, 2005 წელი, №143 (1003)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გამარჯვება გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.  
ტელ: 202404; 202424; 200024;  
8 99 220 949.  
ელ-ფოსტა: tender@24hours.ge  
საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## პრივატიზების სტრატეგია აფხაზეთში კრიტიკას იწვევს

ზურაბ აფხაზავა სოხაშიდას

დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ კიდევ ვერ შეიმუშავა აფხაზეთის სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების მეტ-ნაკლებად მისაღები სქემა. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ პრივატიზების პროცესი ქვეყანაში არ დაწყებულა. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტს არ მოუვლია რაიმე საკანონმდებლო აქტი. ამგვარ დროს, ბოლო პერიოდში ქვეყანაში საინვესტიციო ბაზრის გააქტიურება დღის წესრიგში აყენებს სპეციალური კანონმდებლობის შექმნას, რომლითაც მოხდება საპრივატიზაციო პროცესების რეგულაციონირება და დასაბამი მიცემა სახელმწიფო ქონების გადანაწილების პროცესის რეგულაციონირებას.

დღემდე რესპუბლიკაში მხოლოდ ენ "მცირე პრივატიზაცია" ხორციელდება. კერძო საკუთრებაში გადავიდა მცირე ობიექტები - მაღაზიები, კაფეები და სხვა. მცირე პრივატიზაცია გამჭვირვალე არ ყოფილა. არ ჩატარებულა ღია აუქციონები. არც ის გარკვეულა, თუ რა სახის საკუთრება შეესაბამება "მცირე პრივატიზების" განსაზღვრებას და რომელი არა. საერთოდ, "მცირე პრივატიზების" მიზანი იყო სახელმწიფო საკუთრების დაკანონება იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც მის ფაქტობრივ მფლობელებს წარმოადგენდნენ. ქონების ამგვარ გადანაწილებასთან ახლად კორუფციასთან დაკავშირებული არაერთი სკანდალი. "საიჯარო კაპიტალიზმი", რაზედაც წინასწარ სახელისუფლებო ელტასს ჰქონდა აქცენტი გადატანა, საინვესტიციო ბაზრისთვის მიუღებელია. არ არსებობს კანონიერი სქემები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება მსხვილი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ერთადერთი სქემა, რომელიც მსხვილი ობიექტების პრივატიზებისას გამოიყენება, ეს არის პარლამენტის მიერ მიღებული სპეციალური კანონი ამა თუ იმ ობიექტის განსახელმწიფოებრიობის შესახებ. ანუ, პარლამენტი, პრეზიდენტის ნარდგინების საფუძველზე, ყოველი კონკრეტული ობიექტისთვის იღებს გადაწყვეტილებას, განხორციელდეს თუ არა მისი პრივატიზება. ბოლო პერიოდში ამ გზით მოხდა გავრამი სახელმწიფო აგარაკის, სოხუმში სასტუმრო "რინას" და რიგი სხვა ობიექტების პრივატიზება.

თუმცა, თავად პარლამენტარები ამ სქემას კრიტიკულად უყურებენ. მათი მტკიცებით, ეს ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოში კორუფციის დამკვიდრებას, რადგან მსხვილი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი წყდება არა კანონის, არამედ დეპუტატების სუბიექტური შეხედულებების სა-

ფუძველზე. აღნიშნული სქემის წინააღმდეგ თავად პარლამენტის სპიკერი ნუგზარ ამუბაც ილაშქრებს. "ნერტილოვანი" პრივატიზება, მით კანონი ამა თუ იმ ობიექტის განსახელმწიფოებრიობის შესახებ. ანუ, პარლამენტი, პრეზიდენტის ნარდგინების საფუძველზე, ყოველი კონკრეტული ობიექტისთვის იღებს გადაწყვეტილებას, განხორციელდეს თუ არა მისი პრივატიზება. ბოლო პერიოდში ამ გზით მოხდა გავრამი სახელმწიფო აგარაკის, სოხუმში სასტუმრო "რინას" და რიგი სხვა ობიექტების პრივატიზება.

თუმცა, თავად პარლამენტარები ამ სქემას კრიტიკულად უყურებენ. მათი მტკიცებით, ეს ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოში კორუფციის დამკვიდრებას, რადგან მსხვილი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი წყდება არა კანონის, არამედ დეპუტატების სუბიექტური შეხედულებების სა-

ფუძველზე. აღნიშნული სქემის წინააღმდეგ თავად პარლამენტის სპიკერი ნუგზარ ამუბაც ილაშქრებს. "ნერტილოვანი" პრივატიზება, მით კანონი ამა თუ იმ ობიექტის განსახელმწიფოებრიობის შესახებ. ანუ, პარლამენტი, პრეზიდენტის ნარდგინების საფუძველზე, ყოველი კონკრეტული ობიექტისთვის იღებს გადაწყვეტილებას, განხორციელდეს თუ არა მისი პრივატიზება. ბოლო პერიოდში ამ გზით მოხდა გავრამი სახელმწიფო აგარაკის, სოხუმში სასტუმრო "რინას" და რიგი სხვა ობიექტების პრივატიზება.

თუმცა, თავად პარლამენტარები ამ სქემას კრიტიკულად უყურებენ. მათი მტკიცებით, ეს ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოში კორუფციის დამკვიდრებას, რადგან მსხვილი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი წყდება არა კანონის, არამედ დეპუტატების სუბიექტური შეხედულებების სა-

### "ასა საქმე არ ქმდება"

ბარამ მაღლაკალიძა

თითქმის ათი წელია, საქართველოს მთავრობა, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება პერიოდულად, სხვადასხვა ინტენსივობით უბრუნდება აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხს. როგორც წესი, ამ პრობლემის ყოველი ახალი ნაშრონევა რუსეთის ინიციატივით ან ინსპირირებით ხდება, და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენთან განსხვავებით, მეზობელმა ქვეყანამ კარგად იცის, რა სურს, მაქსიმალურად რიის მიწების შესაძლებლობა აქვს განსაზღვრულ ეტაპზე და როგორ უნდა მოახდინოს თავისი მიზნების რეალიზება. ამასთანავე, რუსეთის ანალოგიური სამსახურები ცდილობენ, იმგვარად დაეგმონ გასატარებელი ღონისძიებები, რომ ერთდროულად ორი-სამი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა შეძლონ, ხოლო დიპლომატიურად, სამხედროდ და სპეცსამხედურად მათი რეალიზების ნებისმიერ ეტაპზე ფართო მანევრების საშუალება ჰქონდეთ.

რა ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას აძლევს რუსეთს რკინიგზის გახსნა?

სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ირანთან და სომხეთთან გეოსტრატეგიული ღირებულების ამოცანაა, რადგან მოსკოვს დამატებით, მნიშვნელოვანი სამხედრო-ეკონომიკური პერსპექტივა უნდა გაეპოლიტიკური პროცესების სამართავად არა მარტო კავკასიაში. მნიშვნელოვან დივიდენდს ამირკავკასიაში რუსეთის ერთდროული მოკავშირის, სომხეთის სამხედრო ფაქტორი რეგონში. საქართველოზე გავლის რუსეთისა და სომხეთის სპეცსამხედროების მიერ კონტროლირებული, ახალი საერთაშორისო მნიშვნელობის ნარკო-ტრასას (მრავალმილარდობის ბრუნვის), რომლის

ბარამ მაღლაკალიძა A3 ბავარდვა

### "ელექტროვაგონ-მემატეაბელი ქარხანა" კონსტრუქციის ბარამ ბაიყიდა

მარიამ ჭაჭავაძე

სს. "თბილისი-დახარის რეისის" შემდეგ, სს. "ელექტროვაგონმშენებელი ქარხანა" მეთორე საწარმოა, რომელიც პირდაპირი მიყიდვის წესით გაიყვანება. ქარხნის ერთ-ერთი დებიტორი შპს "თი-ჯი-თრეიდი" მასში 6 მილიონ აშშ დოლარს იხდის.

ეკონომიკური განვითარების სა-მინისტროსა და "თი-ჯი-თრეიდს" შორის ხელშეკრულება დღეს ან ხვალ უნდა გაფორმდეს. ქარხნის პირდაპირი წესით შესყიდვის შესახებ შესაბამისი განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა უკვე გამოსცა. სანარმოზე კონკურსი მარტის ბოლოს გამოცხადდა და მისით, "თი-ჯი-თრეიდს" უპირატესობა მიეცა შპს "ტრანსლოგისტიკი", ავსტრალიური შპს "ვერსიონი ტრანსექსპედიშენი" და რუსული სამხრეთის სამრეწველო საინვესტიციო ჯგუფი "პოკო" იყვნენ დამსწრეებსულები. აღსანიშნავია, რომ მისის დასაწყისში "თი-ჯი-თრეიდი" ქარხანაში მხოლოდ 2 მილიონ 500 ათას აშშ დოლარს იხდოდა, თუმცა მოგვიანებით, მან ფსონი 6 მილიონამდე გაზარდა და პირობაც დადო, რომ ამ თანხას სრულად მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე დაფარავს. ჯერჯერობით გაუგებარია, რა კრიტერიუმებით მიანიჭა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "თი-ჯი-თრეიდს" უპირატესობა და რატომ ჩამალა სანარმოზე სამი თვის წინ გამოცხადებული კონკურსი, მით უმეტეს მაშინ, როცა ავსტრალიური კომპანია მზად იყო, "ელექტროვაგონმშენებელი ქარხანაში" 8 მილიონ 500 ათას აშშ დოლარი გადაეხადა.

ბარამ მაღლაკალიძა A6 ბავარდვა

### ამბები ქართული ლარი აშშ დოლარის წინააღმდეგ



"ბაზისბანკის" ახალი პროდუქტი - კონვერტირებადი ვადიანი ანაბარი ლარში. მაღალი სარგებლის მიღების საშუალება და დაზღვევა საგადასახადო კურსის მერყეობისაგან.

A6

ამინდი	27/06	28/06	29/06
თბილისი	28 ☀	32 ☀	34 ☀
ტყუბული	25 ☁	30 ☀	32 ☀
სოხუმი	27 ☀	28 ☀	31 ☀
დავანისი	21 ☁	26 ☀	28 ☀
გორი	24 ☀	28 ☀	30 ☀
ონი	22 ☁	25 ☀	26 ☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.2050
ბრიტანული სტერლინგი	3.2868
რუბლი	0.0636

A	A2	რეკვი	B2
ამბები	A2	რეკვი	B2
ამბები	A3	რეკვი	B3
საზოგადოება	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
კომუნიკაცია	A6	დიპლომატიკა	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

### მაია მოსიაშვილი

მოსახლეობის ჯგუფური შეტაკებები ნალკაში წლების მანძილზე ხდება. ამის გამო იქ ხელისუფლებამ ორჯერ შეიყვანა შინაგანი ჯარის საკმაოდ დიდი ნაწილი - პირველად ლევან მამალაძის გუბერნატორობის დროს, როცა ძალების ჩხუბის გამო იქ ადამიანი მოკლეს, ბოლოს კი ერთი წლის წინ, როცა სომხური სოფლის კიბო-კისისას მოსახლეობა ჩასახლებულეს სახლებში შეუცვივდა და ფიზიკურად გაუსწორდა. რაიონში გარეგნული სიმშვიდე მანამდე გრძელდებოდა, სანამ იქ იარაღიანი ჯარისკაცებს ხუდადდნენ. მათთან დაპირისპირებას ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ბედავდა, თუმცა ახლა სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა.

## ირანში კონსერვატორთა მმართველობის ხანა ბრუნდება

თიკო მაჰარაშვილი

ირანში პარსკეც საბრუნდენტო არჩევნების მეორე ტურში კონსერვატორმა მაჰმედ აჰმადინეჯადიმ გამარჯვება იკვირანის ისტორიაში პირველი სამოქალაქო პირია, რომელიც ოთხ წლიანი მანდატით იქნა არჩეული. თუმცა, უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მასაც საკმაოდ დიდი საზღვრო გამოცდილება აქვს მიღებული რევოლუციური გვარდიაში. ირანის ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შექმნის "ძლიერ, განვითარებულ და სამაგალითო ისლამისტურ საზოგადოებას".

24 ივნისის საბრუნდენტო არჩევნების მეორე ტურში აჰმადინეჯადიმ ხმების 62 პროცენტი მოიპოვა რაფსანჯანის წინააღმდეგ, რომელმაც ხმების მხოლოდ 35 პროცენტი დააგროვა. ახალ პრეზიდენტს ირანის წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობის ღარიბმა ნაწილმა დაუჭირა მხარი.

ბარამ მაღლაკალიძა A5 ბავარდვა



დასავლეთში მიზნობენ, რომ ირანში რეაქციის ხანა დაბრუნდება.











# დავით მირცხულავას საქმეზე ბიორა ინსტანსიის სასამართლო გადაწყვეტილება

საოლქო სასამართლო დღეს სათბო-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმის განხილვას განაგრძობს. მირცხულავას დაცვის მხარე მთავრდება-კრწანის რაიონული სასამართლოს 30 მარტის გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლითაც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.



დავით მირცხულავას საოლქო სასამართლოს იმედი არ აქვს.

სათბო-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა სასამართლომ გადაწყვეტილება 2003 წლის დეკემბერში დააკვირა. პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდება, მირცხულავა, რომელიც ენერგეტიკის სამინისტროს 1999-2003 წლებში ხელმძღვანელობდა, დამანაშავედ არის ცნობილი თანამდებობის არაერთგზის ბოროტად გამოყენებაში, თაღლითობასა და გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების დამალვისთვის. ამ უკანასკნელი ბრალდების გამო მირცხულავას რამდენიმე ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდაც დაეკისრა.

“მირცხულავას დაპატიმრება, მისი საქმის გამოძიება და თვით სასამართლო პროცესიც თავიდან ბოლომდე პოლიტიკური შეკვეთა იყო. ეს სასამართლო გამოძიებისას დამტკიცდა კიდევ, რადგან არც ერთმა მოწმემ მირცხულავა დანაშაულში არ ამხილა. მიუხე-

დავად ამისა, მართლმსაჯულებამ პროკურატურის ბრალდება უკრიტიკოდ გაიზიარა და მას უმძიმესი სასჯელი მიუსაჯა,” - განაცხადა ჩვენთან საუბარში მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

ბესელია უკანონოს უწოდებს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც მისი გასაჩივრების საბაზის გახდა. თუმცა, როგორც ადვოკატის კომენტარიდან ირკვევა, მირცხულავას განაჩენის საოლქო სასამართლოში გადაგზავნა, საბოლოოდ, სხვა მიზანს ემსახურება.

“ჩვენ, მართალია, ზღაპრების არ გვევრა და ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ, რომ საოლქო სასამართლო მაინც შეძლებს მირცხულავას საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სამართალს საქართველოს მართლმსაჯულების ვერც ერთ ინსტანციაში ვერ ვიპოვებ, ჩვენი მიზანია, საბოლოოდ სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლოს მივმართო. ევროსასამართლოს კანონმდებლობით კი ჩვენს ქვეყანაში ყველა სასამართლო ინსტანცია უნდა გვეკობდეს მოვლილი, რის შემდეგაც უფლება გვაქვს, საერთაშორისო მექანიზმებით ვიბრძოლოთ,” - ამბობს ეკა ბესელია.

როგორც ცნობილია, ევროსასამართლოს მირცხულავას ერთი საქმე უკვე აქვს წარმოებაში მიღე-

ბული. დაცვის მხარის განცხადებით, სტრასბურგში უახლოეს მომავალში დაიწყება მირცხულავას პატიმრობის კანონიერების განხილვა. მანამდე კი თბილისის საოლქო სასამართლო ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის საქმის სასამართლო გამოძიებას კიდევ ერთხელ დაიწყებს.

“სასამართლო გამოძიებას საოლქო სასამართლო ჩვენი მოთხოვნით განაახლებს. მართალია, რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნულ საქმეზე გამოკითხული მოწმეების ჩვენებები, მაგრამ ჩვენ იმედს მაინც არ ვკარგავთ. განახლებულ პროცესზე საქართველოს კონსტიტულის პალატის ყოფილი თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი, ექსპერტი ელიზბერ ერისთავი და სომხეთის ენერგოკომპანიების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ დაიკითხებიან. როგორც გახსოვთ, გასულ სასამართლო პროცესებზე ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაასაბუთა მირცხულავას მიმართ წარდგენილი ბრალდებები. პროცესს განსაჯელიც დაესწრება,” - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ეკა ბესელიამ.

ერთი სიტყვით, დავით მირცხულავას საქმის სასამართლოს მეორე ინსტანციაშიც გამოიძიებენ, თუმცა, როგორც დაცვის მხარე აღნიშნავს, საბოლოოდ მათ მაინც სტრასბურგის იმედი აქვთ.

24 საათი

# საქართველოში ადამიანის წამების შემთხვევებზე იმპა

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, გასულ წელთან შედარებით, ადამიანთა წამების შემთხვევებმა 3 პროცენტით იმატა. მათი აზრით, ეს შემთხვევები მონაცემია.

მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყანა 26 ივნისს წამების მსხვერპლთა თანადგომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ვაგროს მიერ დამკვიდრებული საერთაშორისო აქციის საქართველოშიც აღნიშნავენ. გუშინ მთელს მსოფლიოში მიმდინარე აქციას, დევიზით “ერთად, წამების წინააღმდეგ”, კოორდინირებას წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო უწევს, საქართველოში ასეთი ერთობლივი კამპანია ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად საქართველოში მომხდარი “ვარდების რევოლუციისა”, წამების თემა კვლავაც მტკივნეული და აქტუალურია. ლაპარაკია წინასწარი დაკავების საკნებში აღიარებითი ჩვენების მისაღებად ძალადობის შეთოდების გამოყენებაზე.

წამების წამების იარაღები, საზოგადოების წარმომადგენლებს დაუჩინებლად წამების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად საქართველოში მომხდარი “ვარდების რევოლუციისა”, წამების თემა კვლავაც მტკივნეული და აქტუალურია. ლაპარაკია წინასწარი დაკავების საკნებში აღიარებითი ჩვენების მისაღებად ძალადობის შეთოდების გამოყენებაზე.

წამების წამების იარაღები, საზოგადოების წარმომადგენლებს დაუჩინებლად წამების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად საქართველოში მომხდარი “ვარდების რევოლუციისა”, წამების თემა კვლავაც მტკივნეული და აქტუალურია. ლაპარაკია წინასწარი დაკავების საკნებში აღიარებითი ჩვენების მისაღებად ძალადობის შეთოდების გამოყენებაზე.

წამების წამების იარაღები, საზოგადოების წარმომადგენლებს დაუჩინებლად წამების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად საქართველოში მომხდარი “ვარდების რევოლუციისა”, წამების თემა კვლავაც მტკივნეული და აქტუალურია. ლაპარაკია წინასწარი დაკავების საკნებში აღიარებითი ჩვენების მისაღებად ძალადობის შეთოდების გამოყენებაზე.

# აჭარის საპრობოლიზმი, როგორც მთელ საქართველოში, საზინალი მდგომარეობა

წამების მსხვერპლთა თანადგომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის წევრებმა აჭარის ხელისუფლებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ბათუმის საპრობოლიზმის მონახულებას და იქაური პატიმრების მდგომარეობას გაეცნენ.

ბათუმის საპრობოლიზმში არსებული მდგომარეობა აქტუალური ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში გახდა. წლების მანძილზე ტაბუდადებული აჭარის ციხეები პირველად თბილისიდან ჩასულმა იუსტიციის სამინისტროს მაჟორიტარმა მალაჩონოსენმა მოინახულეს და იქ ნაზახი საპრობოლიზმად შეაფასეს. ვერდების რევოლუციის შემდეგ პარლამენტის წევრებმა ბათუმის მე-3 საპრობოლიზმი, ფაქტობრივად, ზუსტად ის პრობოლიზმი, რომელიც მთლიანად საქართველოს ანალოგიურ დასუსტებულ მდგომარეობაშია განცხადებით, ტურქული კულტურისა და C პლატფორმის დახმარებით დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ 12-ადგილიან საკანში 37 პატიმარი, თავისუფლებულ კვირების შემდეგ მათი კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ.

ბათუმის მე-3 საპრობოლიზმი, ფაქტობრივად, ზუსტად ის პრობოლიზმი, რომელიც მთლიანად საქართველოს ანალოგიურ დასუსტებულ მდგომარეობაშია განცხადებით, ტურქული კულტურისა და C პლატფორმის დახმარებით დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ 12-ადგილიან საკანში 37 პატიმარი, თავისუფლებულ კვირების შემდეგ მათი კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ.

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

Blank form for the legal aid application with fields for name, address, phone, and email.

განუცხადებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე. გუშინ უფასო იურიდიული კონსულტაციის მოთხოვნის შედეგად, საპრობოლიზმის მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ. გუშინ დეპუტატები საპრობოლიზმს საათის განმავლობაში ათვალისწინებდნენ. მათ კანონიერი ქურდების მძილი მორიგეობით უწევთ.

# მოსკოლ

## ქუთაისის გარეუბანში ახალი საპრობოლიზმის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება

ქუთაისის გარეუბანში ახალი საპრობოლიზმის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. საპრობოლიზმი 1500 პატიმარზეა გათვლილი.

იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, საპრობოლიზმის მშენებლობის ხელშეწყობა ბიუჯეტიდან ამ დროისთვის 10 მლნ. ლარია გაღებული. ის 6 კორპუსისგან შედგება, რომელთა შორის ერთი აღმინსტრაციულია. მათვე საპრობოლიზმში განთავსდებიან როგორც არასრულწლოვანი, ასევე ქალი პატიმრები. ქუთაისის საპრობოლიზმში განთავსდება წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისა და იმ მსჯავრდებულებისთვის, რომელთაც სასჯელის მოხდა მკაცრი რეჟიმის ან საპრობოლიზმში შეფერადება.

საპრობოლიზმში არის 2, 4 და 6-ადგილიანი საკნები, სადაც ახალი ავეჯი დაიდგმება, დამონტაჟდება უსაფრთხოების უახლესი სისტემები და ავარიის შემთხვევაში ელექტროენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

ქუთაისის ახალი ციხე ე.წ. სამოხლო საპრობოლიზმს იქნება, სადაც განსხვავებული იქნება, როგორც თანამშრომელთა ხელშეწყობა, ასევე პატიმართა კვება.

საპრობოლიზმში ამანათების შეტანა მკაცრად შეიზღუდება, რაც იქ ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლიური სასმელების შეტანას გამოიწვევს.

ინტერპრესნიუსი

## ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოშიც აღინიშნება

გუშინ მთელი მსოფლიო ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდა.

ამ დღეს აღსანიშნავად გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტმა “შერატონ მეტეხი-პალასში” სპეციალური ღონისძიება გამართეს. შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ საქართველოში ამ პრობლემის დაძლევაზე მომუშავე სამთავრობო, თუ არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

ოფიციალური მოხსენებების თანახმად, საქართველოში დღეისთვის 18 000-მდე ნარკოტიკზე დამოკიდებული და ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი პირია. რეალობაში კი ეს ციფრები 140-დან 180 ათასამდე აღწევს.

საქართველოში ნარკოტიკებზე დამოკიდებული და ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი პირთა რაოდენობა ოფიციალურად 1992 წლიდან 2002 წლამდე 6-ჯერ გაიზარდა.

ინტერპრესნიუსი

## აზერბაიჯანში ნარკობიზნესში ჩართულ უცხოელთა შორის კართვების ღირებულება

მიმდინარე წლის უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში აზერბაიჯანში ნარკობიზნესში გამოვლენილი პირთა შორის ყველაზე მაღალი მარცხენი საქართველოს მოქალაქეებზე მოდიოდა. ამჟამად იქ ნარკობიზნესში პასუხისმგებლობა მოქალაქეების საქართველოში 16 მოქალაქე.

სანაგაროში პერიოდში აზერბაიჯანში ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობის 352 ფაქტი გამოვლენილია. ნარკობიზნესის გამო პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა შორის 37 უცხო ქვეყნის მოქალაქე.

საგულისხმო ფაქტია, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, პასუხისმგებლობა არის 16 მოქალაქე. ყველაზე პატარა მარცხენი უკრაინაზე მოდის – დაპატიმრებული ამ ქვეყნის მხოლოდ ერთი მოქალაქე; რუსეთისა და ავღანეთის მოქალაქეთა რიცხვიც, თანაბარი რაოდენობით დაფიქსირდა, თუმცა მარცხენი დაბალია: პასუხისმგებლობა რუსეთის 2 და ავღანეთის 2 მოქალაქე.

ნარკობიზნესით დაკავებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს 9 კვ-ზე მეტი სხვადასხვა სახის საპრობოლიზმში ჩამოართვეს.

საერთოდ, 2005 წლის იანვრის მონაცემების ჩათვლით, აზერბაიჯანში ნარკოტიკებით დაკავშირებული დანაშაულის რიცხვი 1184-ს აღწევს. ამის უმეტესობა იქნება, საინფორმაციო სააგენტო “ტრენდ” ნარკომანიისა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მიმოქცევისათვის ბრძოლის ხელშეწყობის კომისიის მიერ გაკეთებულ მოხსენებაზე დაფუძნებულია.

აღნიშნულ პერიოდში, აზერბაიჯანში ცალკეულ პირებს ჩამოართვეს: 159,1 კვ. ნარკოტიკული ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერებები, მათ შორის – 8,2 კვ. შერიონი, 22 კვ-მდე ოპიუმი, 15,7 კვ. ჰაშიში, 113 კვ-ზე მეტი მარისუანა, 10 964 აბი და 10 ამაშულა ფსიქოტროპული ტიპის მედიკამენტი.

უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში აღმოჩენილი და განადგურებულია 18 ტონა 873 კვ. ველური ჯიშისა და უკანონოდ მოყვანილი ნარკოტიკული თესვების მქონე მცენარეთა ჯიშები.

პრაიმ-ნიუსი

## ბარსელონაში “რუსთავი-2“-ის გადაღებები ჭკუფი ერთი საათით დააკავეს

ესპანელმა სამართალდამცველებმა კვირის ბარსელონაში მივლინებული სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2-ის” შურნალისტი დავით ნიკურაძე დააკავეს.

პროგრამა “კურიერის” ინფორმაციით, დავით ნიკურაძე და ტელეკომპანიის ოპერატორი, გიორგი დულაროძე, ადგილობრივმა სამართალდამცველებმა შურნალისტიკის მასპინძელთან, ესპანეთში მცხოვრებ ქართველ კახა ლიპარტელიანთან ერთად დააკავეს.

მოგვიანებით, პოლიციამ შურნალისტიკის გაათავისუფლა, თუმცა მათ ჩამოართვეს ლიპარტელიანის კუთვნილი ავტომანქანა, რომლითაც შურნალისტიკა ქალაქში გადაადგილდებოდნენ.

როგორც თავად ნიკურაძე განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველა საბუთი ნესტოვანი ჰქონდა, ის მაინც წაიყვანა განყოფილებაში, სადაც გადაღებული ვიდეომასალა და პირადი ნივთები შეუმონწმეს. ნიკურაძე ესპანეთში მივლინებით იმყოფებოდა დაკავებულ ქართველებთან დაკავშირებით სიუჟეტის მოსამზადებლად.

პრაიმ-ნიუსი

## ორი სიტყვით

თბილისი. იუსტიციის საბჭო 27 ივნისიდან დაიწყებს იმ იურისტთა განცხადებების მიღებას, რომელთაც პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სურთ მონაწილეობის მიღება. პროკურორობის მსურველებს დოკუმენტაციის მიტანა გამოცდის ორგანიზატორთან 9 ივნისამდე შეუძლიათ. პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა 16 ივნისს არის დაინიშნული. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, შესაძლოა, გამოცდა, მასში მონაწილეთა მრავალრიცხოვნების შემთხვევაში, ეტაპებად დაყოფს. პროკურორობის მსურველებს 100 კითხვითი ტესტის ამოხსნა შეუწევთ. გამსვლელ ქულად 85 სწორი პასუხი ჩაითვლება. ჯი-იჩი-ენი

თბილისი. საგარეჯოს რაიონის სოფელი ნინოწმინდაში ავტოგასამართ სადგურზე მომხდარი აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი, ლია მანსურაძე დაიღუპა, მალაზხა რესტორმაში კი დაშავდა. მას სადავამყოფი რთული ოპერაცია ჩაუტარდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. მასურაძე მცირეწლოვან შვილთან ერთად მეზობელი სოფელიდან ალიკა სამთუაშვილის კუთვნილი “ნივთი” მეზობლებმა, ნინოწმინდაში ავტოგასამართ სადგურზე ისინი მანქანაში გაზის ჩასატვირთად შეჩერდნენ. აფეთქება დატუმბვის დასრულების შემდეგ მოხდა. ავტომანქანის მძღოლი არ დაშავებულა. ჯი-იჩი-ენი

თბილისი. კეების პროდუქტების მწარმოებელ კომპანია “ნიკორას” ფინანსური პოლიცია ამოწმებს. კერძოდ, უკვე 2-3 დღეა, ფინანსური პოლიცია იქ ფალსიფიკაციისა და სალიცენზიო პირობების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობს და სხვა სამართალდარღვევებსაც ეძიებს. ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილე მალაზხა ბინაძე შპს “ნიკორას” მათი უწყების შესვლის ფაქტს უდასტურებს, თუმცა მიზეზების დასახელებისაგან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თავს იკავებს. ბინაძის განცხადებით, ფინანსური პოლიცია სასამართლო სხვადასხვა მითარელებით მუშაობს და შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ამ ფონზე შპს “ნიკორას” დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მივსვას ელანა. ჯი-იჩი-ენი

ენერჯისექტორის მონიტორინგი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერჯისექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგი კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე...

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი საქართველოს ენერჯისექტორის მონიტორინგის ცენტრი The Eurasia Foundation Georgia Office

„საქართველოს ბაერთიანებალი სადისტრიბუციო ენერჯიკომპანიისთვის“ რიხური ელექტროგადამცემი ხაზების გადამცემა ქონებრივად

„სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯიკომპანიისთვის“ ჩიხური ელექტროგადამცემი ხაზების გადამცემა ქონებრივად...

აქარა თარქითიდან ელექტროენერჯიას მიიღებს

საავტონომიო პრაიმ-ნიუსის ცნობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში აჭარის ენერჯიკომპანიას და თურქეთის ელექტროენერჯიის საავტონომიო კონტრაქტების სააქციო საზოგადოება „ტეტაშ“ შორის, თურქეთიდან აჭარის რეგიონისთვის, ბარტერის სახით, ელექტროენერჯიის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი...

„სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ათაზა ბატი თანამშრომელი, საავტონომიო, 1 ივლისიდან ემუშავებს დარჩება

„სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ათაზა ბატი თანამშრომელი, საავტონომიო, 1 ივლისიდან ემუშავებს დარჩება. როგორც „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ პროფკავშირების თავმჯდომარემ ილია ყარაშვილმა განაცხადა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილება „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ყველა თანამშრომელმა მიიღო...

„ენერჯისექტი“ მოგვალ წელს, შესაძლოა, ხუთი თვით ბაირადან

„ენერჯისექტი“ მოგვალ წელს, შესაძლოა, ხუთი თვის ნაცვლად, ხუთი თვით ბაირადან. როგორც „საქმედროენერჯიკომპანიის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ მერაბ დავითაიამ განაცხადა, „საქმედროენერჯიკომპანიის“ ენერჯისექტორის სამინისტროსთან და უცხოეთი ინჟინრებთან ერთად, შვის რეაბილიტაციის ახალ პროგრამას ამზადებს, რომელიც ამჯერად ხუთთვიანი იქნება...

„გაზპრომი“ დსთ-ს ქვეყნებს გაზს გაუძვირებს

საქართველოში გაზი ელექტროენერჯიის სანარმოებლადაც გამოიყენება. მოსალოდნელია თუ არა დენის გაძვირება?

„24 საათი“ წერდა, რომ „გაზპრომის“ ხელშეწყობის, ალექსეი მილერის განცხადებით, „გაზპრომი“ 2006 წლიდან დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებისათვის ბუნებრივი აირის ფასებს გაზრდის...



ალექსეი მილერი დსთ-ს ქვეყნებისთვის რუსული გაზის გაძვირებაზე ალაპარაკდა

თუ, ფასი 1000 კუბურ მეტრზე 70 აშშ დოლარამდე გაიზარდება. სხვათა შორის, არაოფიციალური ინფორმაციით, ბელარუსი და სომხეთი გაზს ძველ ტარიფით მიიღებენ. „გაზპრომი“ საქართველოსთვის მიმდებარე ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდას ვერ კიდევ 2005 წლის დანახარების აბორიტის, თუმცა, მამინ ქართულმა მხარემ კომპანია „დაიყოლია“ და გაზის საფასურის უფრო მაღალ გაზრდას დააპირა...



ალექსანდრე თვალჭრელიძე: თუ რუსული მხარე ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, სომხეთის ტრანზიტის ფასი 40 დოლარამდე უნდა გაიზარდოს

და ქვეყანას დღეს გაზის მოწოდების დიფერენციალს აწარმოებს საერთაშორისო ბირჟებზე. სომხეთი არ გაზარდოს, ჩანს, „გაზპრომისთვის“ მნიშვნელოვან არგუმენტს არ წარმოადგენს. ეს არაერთხელ დადასტურდა, როცა ურთულესი ენერჯიკომპანიის პირობებში, ქვეყანა გაზის გარეშე რამდენიმე დარჩა. სამაგიეროდ, პოლიტიკური კორექტულობის გამოჩენაში რუსეთი საქმიან გულუხვია თავისი სტრატეგიული პარტნიორების მიმართ. შვედეთს, რუსეთს გაზის გიგანტი, რომელიც, თავის მხრივ, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის ხელი სუფულების მიმართ განსაკუთრებული კორექტულობით გამოირჩევა, როგორც წესი, თავს იკავებს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისგან, რომელთაც შესაძლოა ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების ინტერესებზე უგაფრებ იქონიოს...

„საქართველოს ბაერთიანებალი სადისტრიბუციო ენერჯიკომპანია“ დენის დამატარებელი კომპანიის ორგანიზაციებს მასსრად დასჯის

„მოიპარო ელექტროენერჯია - ნიშნავს აზარალი მოსახლეობა“ - აცხადებენ „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიის“ (სსე) და კომერციული ორგანიზაციებისთვის აღრიცხვების კანონების შემოწმების ინიციატივა

უკვე 25 ივნისიდან, სადისტრიბუციო ენერჯიკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალმა საკუთარი მომსახურების ტერიტორიაზე ელექტროენერჯიის მონიტორინგის ინტენსივობას შეზღუდა ყველა იმ კომერციულ ორგანიზაციას, რომელსაც საკუთარი აღრიცხვის კვანძი მონიტორინგისთვის არ ჰქონდა, ან დიდი რაოდენობით გადასახდელი დავალიანება დაუფარვდა...

კომერციულ ორგანიზაციებს ერიცხებოდათ დაახლოებით იმდენივე ელექტროენერჯია, რამდენიც ერთ მოსახლეს. არადა, მსგავსი რამ ყოველდღე შეუძლებელია და ამ ორგანიზაციების მხრიდანაც ენერჯიის დატაცებაზე მიანიშნებს. ამ ქმედებას იხინი აღრიცხვის „შეგნებულ მოუწესრიგებლობაში“ ახდენენ, - აკონკრეტებენ „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიის“...

ცალკეული ორგანიზაციების მხრიდან კონკრეტულ დარღვევებზე ინფორმაცია კომპანიის ადრეტარსობაზე, მაგრამ ტრანსპორტირებაზე მნიშვნელების არარსებობის გამო ენერჯიკომპანიას არ ჰქონდა საკმარისი არგუმენტაცია ეფექტური კანონიერი საფუძველი ელ. ენერჯიის დატაცების საფუძველზე. ენერჯიის დატაცების საფუძველზე საბრძოლველად, ტრანსპორტირების კომპალური გამართვის მონიტორინგის შემდეგ ყველა გამართვის მონიტორინგის მხარე, რომელიც აქტიურად ითხოვდა ენერჯიის დატაცებულების მიმართ კანონით განსაზღვრული ზომების გატარებას...

სხედით მოინსერირებენ. ამასთან, ენერჯიკომპანია უმკაცრეს კონტროლზე აყვანს თითოეული ჩაჭრილი ობიექტის მხრიდან ქსელში თვითნებური მიერთების ფაქტებს. ენერჯიკომპანია აფრთხილებს ყველა მომხმარებელს - ელ. ენერჯიის დატაცების ან აღურევსადაც მოსახლეობის რაიმე სახის ფაქტების აღმოჩენისთანავე ინფორმაცია მიუხედავად სამართალდამცავ ორგანოებს და დამატარებლის მიმართ ამოქმედდება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ელექტროენერჯიის ტრანსპორტირების სისტემიდან ან განიხლებიდან დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, აგრეთვე, ელექტროენერჯიის მიხედვით მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევა - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 600 ლარით, იურიდიული პირის და დაწესებულების 5000 ლარით.“

სხედით მოინსერირებენ. ამასთან, ენერჯიკომპანია უმკაცრეს კონტროლზე აყვანს თითოეული ჩაჭრილი ობიექტის მხრიდან ქსელში თვითნებური მიერთების ფაქტებს. ენერჯიკომპანია აფრთხილებს ყველა მომხმარებელს - ელ. ენერჯიის დატაცების ან აღურევსადაც მოსახლეობის რაიმე სახის ფაქტების აღმოჩენისთანავე ინფორმაცია მიუხედავად სამართალდამცავ ორგანოებს და დამატარებლის მიმართ ამოქმედდება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ელექტროენერჯიის ტრანსპორტირების სისტემიდან ან განიხლებიდან დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, აგრეთვე, ელექტროენერჯიის მიხედვით მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევა - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 600 ლარით, იურიდიული პირის და დაწესებულების 5000 ლარით.“







# ფარვანა, რობილის არ კვდება

1930 წლის 24 მარტი. ამ დღეს ყველა დროის ყველაზე სიმბოლური და დაუღალავი "პაპილონი" სტივ მაქუინი დაიბადა.

1980 წლის 7 ნოემბერი. ამ დღეს ფილტვის სიმსივნემ "პაპილონი" იმსხვერპლა. დაიხ, საქმე რიცხვებსა და თარიღებსა. 2005 წლის მარტში 75 წელი გავიდა პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მსახიობის დაბადებიდან, ნოემბერში კი მისივე გარდაცვალების 25 წლისთავი შესრულდება.

სწორედ ამიტომაც წელს სტივ მაქუინის ამერიკაში უამრავ ღონისძიებას უძღვნიან. რამდენიმე დღის წინ კინოსტუდია "ნიუ ლაინ სინემამ" ოთხდღიანი DVD კომპლექტი გამოუშვა, რომელზეც ჩანს ნიკოლა ცნობილი სერიალის "იქნებნება: ცოცხალი ან მკვდარის" პირველი სეზონი, სულ 36 სერია. ივნისშივე "უორნერ პრემიერ დემო" მაქუინის თაყვანისმცემლები კიდევ ერთი ვიდეოკომპლექტი გაახარა: გასაყიდად გამოიტანა DVD კრებული, რომელშიც ექვსი ფილმი შედის: "ბულიტი", "ცინცინატელი ბავშვი", "Getaway", "ტომ პორნი", "Never So Few" და "პეპელა". კომპლექტში შედის დოკუმენტური ფილმიც სათაურით: "სტივ მაქუინი: სიხალისი კულტი". ცოტა უფრო ადრე კი ვიდეომალაზების დახლებზე კინოსტუდია "ემჯივი"-ის ოთხფილმიანი დისკებიც გამოვიდა.

ერთი სიტყვით, 2005-ში სტივ მაქუინის შტაბში ინტენსიურად იმსხვერპნენ. "გამინტავონ პოსტის" ჟურნალისტი კი უფრო ინტენსიური და საინტერესო შტრიხებით ავსებს საკულტო მსახიობის პორტრეტს. აი, როგორ დაიწყო მისი ისტორია:

იყო ერთი აგენტი, რომელსაც ჰყავდა კლიენტი, იმ კლიენტს კი - შეყვარებული ბიჭი. ეს ბიჭი სამსახიობო ფაქტორებზე სწავლობდა. თუმცა, აგენტს მისთვის არ ეცალა. მას ნიჭიერები საკუთარ კლიენტებში უნდა ეპოვა და მათ

"გავარსკვლავებაზე" ეზრუნა. ასეთი ნიჭიერი ახალბედებით კი საცხე იყო 50-იანი წლების მანკეტენი. ძალიან რომ მოგედნობებინა, ერთი-ორს ყოველ მეორე ქუჩაზე იპოვიდა.


ზემოსხენებულ აგენტ ჰილ ელკინსს კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთი მათგანი ჰყავდა არჩეული - ნელი ადამსი და ცდილობდა, გოგონას ბროდუეის კარის შეღებვაში დახმარებოდა.

ერთ დღესაც კარნევი ჰოლის შესასვლელთან მომხიზველ ნელი ელკინსს ერიო მანანაღა გადაეკიდა, სახელად სტივ მაქუინი. ბიჭი ყოფილი მეზღვაური იყო, ინდიანის შტატებიდან, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ვეღამე მიატოვა. მაქუინმა დაინახა ნელი და მოურიდებლად, თითქმის, უტიფორად უთხრა: "ძალიან ლამაზი ხარ". გოგონამ თავი ვერ შეიკავა და პასუხად უთხრა: "შენც ლამაზი ხარ".

ჰილ ელკინსი დარწმუნებული იყო, რომ ეს მანანაღა და უსაქმი მური მაქუინი წელისთან ფულის გამო დადიოდა. თუმცა, ნელიმ მანინც მოახერხა ელკინსი დაერწმუნებინა, და მანაც სტივი საკუთარი კლიენტების სიაში ჩაწერა.

ამ ამბიდან მალევე მაქუინი და ადამსი დაქორწინდნენ. დაოჯახებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სტივმა თავისი პირველი როლიც მიიღო ახალ ტელევიზიულში "იქნებნება: ცოცხალი ან მკვდარი". პრემიერა 1958 წელს შედგა. ნარმატება ლამის გარანტირებული გახდა, როლი როგორც მოხიზველი, პოპულარობა იზრდებოდა. ერთი მანეთი მიჰყვა პოლიციულის 60-იანური ეპოქის საკულტო სურათები: "შესანიშნავი შეიდეული", "დიდი გაქცევა", "თომას ქრაუნის თაღლითობები"... ამ ფილმებმა სტივ მაქუინი ამ უმნიშვნელოვანესი ათწლეულის გმირად აქცია.

მაქუინი ამბოხისა და პროტესტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, სიმათიური და უცვლელი სიმბოლო გახდა. ცხადია, აღმასვლა 70-



იანებშიც გაგრძელდა. თუმცა, ამ წლებიდან მხოლოდ რამდენიმე ფილმმა გაუქლო დროს: "ჯუნორი მანეთი", "Getaway-მ და "ფარვანამ".

სტივ მაქუინი სიცოცხლეშივე კულტი გახდა. ამან კი რადიკალურად შეცვალა მისი შინაგანი სამყარო. ის, რაც მაქუინს დაემართა, "ვარსკვლავობის სენზე" მეტი იყო. 40 წელს გადაცილებული მაქუინი თავებდებოდა და გადაამართებდა უმცირესი სიმბოლოებით გამოირჩეოდა. ის ყოველ ახალ კინოპროექტზე პროდიუსერებსაც ცალკე თანხას ითხოვდა იმისთვის, რომ უზრაველად სცენარი წაეკითხა, სცენარი, რომელიც ან მოეწონებოდა, ან არა.

სტივ მაქუინი სიცოცხლეშივე კულტი გახდა. ამან კი რადიკალურად შეცვალა მისი შინაგანი სამყარო. ის, რაც მაქუინს დაემართა, "ვარსკვლავობის სენზე" მეტი იყო. 40 წელს გადაცილებული მაქუინი თავებდებოდა და გადაამართებდა უმცირესი სიმბოლოებით გამოირჩეოდა. ის ყოველ ახალ კინოპროექტზე პროდიუსერებსაც ცალკე თანხას ითხოვდა იმისთვის, რომ უზრაველად სცენარი წაეკითხა, სცენარი, რომელიც ან მოეწონებოდა, ან არა.

თუმცა, ინდივიდუალიზმი მაქუინის არასდროს აკლდა. არც კარიერის დასაწყისში: როცა იღებოდა, "ვარსკვლავობის სენზე" მეტი იყო. 40 წელს გადაცილებული მაქუინი თავებდებოდა და გადაამართებდა უმცირესი სიმბოლოებით გამოირჩეოდა. ის ყოველ ახალ კინოპროექტზე პროდიუსერებსაც ცალკე თანხას ითხოვდა იმისთვის, რომ უზრაველად სცენარი წაეკითხა, სცენარი, რომელიც ან მოეწონებოდა, ან არა.

ლურჯი თვალებით ლამის ყველა დანარჩენი მსახიობი დარწმუნდა. იყო მასში რაღაც სრულიად განსხვავებული: მაქუინი სცენარიდან ჭრიდა სიტყვებს და ერჩივნა მდებარედ, მხოლოდ თვალბრუნებით და ფესტებით გადმოეცა სათქმელი. "ფარვანაშიც" არის რამდენიმე ასეთი ეპიზოდი, მაგალითად, სცენა გემბანზე, რომლითაც პატრიარქები ციხეში გადასვლით. ლუის დეგასი, დასტინ ჰოფმანის გმირს, ორი პატიმარი ესხმის თავს. კამერა ჯერ ამ ორ კაცს აწ-

# პირდაპირი ჟურნალი

კორტინი ლავმა დაამარცხა დაიანა როსი, უკან ჩამოიტოვა ჯექს უაითი (ჯექსი უაითი "უაით სთრაიფი"), მიწას დაანარცხა 50 ცენტი და გაანადგურა სიუჯ ნაითი. ახლა ის ჟურნალ "ბლენდერის" კონკურსის ფინალშია. კონკურსის ასე ჰქვია - "ისტორიაში პირველი საბრძოლო ჩემპიონატი". მის ფარგლებში მიმდინარეობს ბრძოლა საპატიო გვირგვინის მოსაპოვებლად. ვინც ამ გვირგვინს დაიდგამს თავზე, ის წლის "როკ-ენ-როლის მთავარი გიგის" ტიტულსაც მოიპოვებს. უკვე ფინალში გასული კორტინი კი ამ ტიტულს ნამდვილად იმსახურებს. ის ჯგუფ "პოლუსის" მომღერალი, კურტ კობეინის ქვრივი და ძალიან ხშირად შინაპატიმრობაში მცხოვრები ქალია; წლების განმავლობაში სიგიჟის მეტი არაფერი უკეთებია და, სავარაუდოდ, გვირგვინსაც მალე მოიპოვებს.

თუმცა, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად ის მთავარი "მკვლელის" წინაშე უნდა წარდგეს - ჯერი ლი ლუისი ხომ ის კაცია, რომელმაც ესროლა საკუთარ ბასისტს, დაჭრა ჟურნალის

რედაქტორი და ბოლოს 15 წლის ბიძაშვილ გოგონაზე ექორწინა. თავის მხრივ, ლუისმა რეპერები სი-მარდერი და დი.ემ.ექსი დაამარცხა, უკან ჩამოიტოვა მთავრულიც ჰევი მეტალის მუსიკიდან ან ჯი.ჯი. ალბინი და ახლა კორტინი ლავის დასამარცხებლად ავიდა რინგზე.

და აი, ბრძოლა იწყება. გამაფრთხილებელი შეძახილი და ორი ფინალისტი ერთმანეთისკენ იქაჩება. ისმის დარტყმების ხმა, ყიჟინა, კივილი და ქეჩნა!

...ცხადია, ეს ყველაფერი გამოგონილია. ბრძოლა მხოლოდ თეორიულია და ჟურნალ "ბლენდერის" რედაქტორებისა და ჟურნალისტების წარმოსახვაში მიმდინარეობს. შემდეგ წარმოსახვიდან სარედაქციო თათბირებში გადადის, იქიდან - ჟურნალის ფურცლებზე ხდება და ერთადერთი მიზანს ემსახურება - მკითხველის გართობას.

ასეთია ჟურნალი "ბლენდერი", რომელიც 2001 წელს ფელექს დენისმა დააფუძნა - ერთმა გიგმა გენისმა, როგორც მას პრესა ემახის. თუ მისი ოფიციალური ინტერნეტ საიტით ვიშ-



კორტინი ლავი

ველები, პოპ-მუსიკაზე ორიენტირებული სხვა ჟურნალებისგან თითქმის არაფრით გამოირჩევა, მაგრამ სინამდვილეში "ბლენდერი" რადიკალურად განსხვავებულია. პოპ-მუსიკის მსახიობებს არ აფეტქვთ, ალტერნატიული სენილებს არ აქვეყნებს და აცხადებს, რომ პოპ-ვარსკვლავები ძირითადად არიან მანიაკები, კარიერისტები და ლოთები, რომლებიც ძალიან იშვიათად ქმნიან მუსიკას.

მოკლედ, დამოკიდებულება პოპ-კულტურის მიმართ ჟურნალს ფრიად პირდაპირი და შეუღებავი აქვს, ამიტომაც გაცანთი დღეს ის. თან, "ბლენდერი" არც მორალისტის მანტიას ირგებს. მართალია, დასცინის და განიკითხავს ვარსკვლავებს, მაგრამ ჭეშმარიტების ქადაგების პრეტენზია ნამდვილად არა აქვს. რედაქტორების კონცეფცია ასეთია: ჩხუბები, ნარკოტიკები, ციხეები, ავარიები - ეს ყველაფერი ისევე საინტერესოა, როგორც ვარსკვლავების მიერ ნამღერი მუსიკა; რაც შემთხვევებში კი უფრო მეტად საკითხავი და საინტერესოც, ვიდრე მათი მუსიკაა. მავალითად, გაცილებით სახა-

ლისო არ არის "ბექსთორი ბოზის" ბიჭებზე სკანდალური "შხე-სუშპირის" კითხვა, ვიდრე მათი პიტების მოსმენა? სწორედ ამ ტინდენტის ავითარებს "ბლენდერი" და არ ინდობს არც ფრედ დარსტს - "ლიმფ ბიჭების" მომღერალს. როცა დარსტის სექსუალური კავშირის ამსახველი ვიდეო ინტერნეტით გავრცელდა, "ბლენდერმა" სექსი პორნოესკაერტს შეაფასებინა, დარსტს ნული ქულა დაუნერა, იქვე კი გამოკითხავს ჩაატარა და გაარკვია, თუ რომელი ვარსკვლავის მსგავს ვიდეოს იხილავდა მკითხველი.

ზემოთ ავარიებიც ვახსენეთ. რამდენიმე ხნის წინ "ბლენდერი" ასეთი სტატია გამოიჩნდა - "როკის ყველაზე ცუდი მძღოლები". წუხსაში ბოლი ჯოელი, ქეტი რიჩარდსი და ელვის პრესლიც კი მოხვდნენ. ასე რომ, "ბლენდერი" "კაიფობს" და მკითხველსაც იგივეს ჰპირდება. ალბათ, ამიტომაც მისი ტირაჟი უსრებს ჟურნალ Spin-ს და Rolling Stone-ის შემდეგ მეორე ადგილზეა. ეს უკანასკნელი კი ყოველ გამოცემაზე 1.2 მილიონი ეგზემპლარი იყიდება.

# ბრანდოს ქონებას შვილები ჰყიდიან

მომავალ კვირას ნიუ იორკში ლეგენდარული მსახიობი მარლონ ბრანდოს ნივთები აუქციონის ნესით გაიყიდება. 320 წარდგენილ ლოტს შორის არის ბრანდოს სკოლმდელი ფოტოსურათები, წერილები, რომლებსაც მას სხვადასხვა მსახიობები და რეჟისორები სწერდნენ. აუქციონზე გაიყიდება ბრანდოს მიერ 1980 წელს დახატული კარიკატურები და ხელნაკეთი ავეჯი, ბონგოსა და კონგოს დოლები, ტუჩის პარმონიკა, მოკრივის ხელთათმანები და მაგიდის ფეხბურთი.

გასაყიდი ნივთების სიაში შესულია 300-500 დოლარად შეფასებული კალიფორნიის შტატში გაცემული მანქანის მართვის ორი მოწმობა, 25 პანამა და მიაისური, რომელთა ფასიც 400-დან 500 დოლარამდეა.

საინტერესო ნივთებს შორის არის "ოსკარის" მფლობელის კუთვნილი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელზეც წერია - "მანქანიდან არ გადმოხვიდეთ. დაასიგნალეთ. კერძო მფლობელობას ავი ძალები იცავენ".



"ძალები მართლაც გყავდა და თუ ისინი სტუმარს ვერ ცნობდნენ, მას მანქანაში ჯდოდა და მოცდა უნებდა, ვიდრე სახლამდე

გამცილებელი არ გამოუჩნდებოდა, - იხსენებს ბრანდოს შვილი მიკი, - 200-ფუნტიანი მასტიფი და უზარმაზარი როტვილეერი ყოველთვის იხსენებ სადარბაზოსკენ მიმავალ ბილიკზე. ზოგჯერ უცხო სტუმარს მანქანაში ყოფნა საათობით უნებდა". ეს გამაფრთხილებელი ნიშანი 800-1200 დოლარადაა შეფასებული.

აუქციონის პოპ-არტის განყოფილების ხელმძღვანელ ჰელენ ბეილის შეფასებით, აღნიშნულ აუქციონის 400-500 ათასდოლარიანი შოგების მოტანა შეუძლებელია. მისივე თქმით, მსგავს აუქციონზე მერლინ მონროს ნივთები 1999 წელს 12 მილიონ დოლარად გაიყიდა, თუმცა წინასწარი გათვლებით მოგება 2-3 მილიონ დოლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ბეილის განცხადებით, ზოგიერთი ნივთის საწყისი ფასი 100 დოლარია. თუმცა, წარდგენილი იქნება ისეთი ნივთებიც, რომელბითაც სერიოზული კოლექციონერები მოიხიზვებიან.

მსახიობის პირადი ბიბლიოთეკიდან აუქციონზე 36 ათასი ნივნიც გაიყიდება. მისი შვილის თქმით, მამას კითხვა ძალიან უყვარდა, რასაც ფურცლებზე გაკე-



თებული მინიშნებებიც მოწმობს. ბრანდოს ტვლიანტის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ მისი ორი მანქანის შეიძინონ. ერთ-ერთით ის საკმაოდ ხშირად მომღერალ ჯექსონის რანჩოს სტუმრობდა.

გაიყიდება ბრანდოს სურტიფიკატი "ოსკარის" ნომინაციაზე ფილმისთვის "ფრონტის ხაზზე" (7-9 ათას დოლარად) და შავი ხავერდის ტუნიკა, რომელიც მსახიობს 1978 წელს გადაღებულ ფილმ "სუპერმენში" ეცვა (4-6 ათასი დოლარი).

2002 წელს ბევერილი-ჰილზში დაწერილი ანდერძში ბრანდომ თავის მემკვიდრეებად ცხრა შვილი დასახელა. სიაში ვერ მოხვდა ნაშვილები პეტრა. ბრანდოს ადვოკატ ელიზაბეტ ბოდენის თქმით, აუქციონიდან შემოსული მოგება მსახიობის მიერვე დაარსებულ ბავშვთა დაცვის ფონდს გადაეცემა.

ბრანდოს უფროსი ვაჟის თხოვნით, გაიყიდება მსახიობის კუთვნილი მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც მის არც ერთ შვილს არ აინტერესებს. ლეგენდარული ბრანდოს უახლოესი მეგობარი ჯორჯ ინგლენდი შეუწყვეტია, რომ ცნობილი მსახიობის კოლექცია მუზეუმს არ გადაეცემა.



ფეხბურთი

### არიგო საკი:

# "რეალობის გათავისუფლება პერსონა მთხოვს"

არიგო საკი რამდენიმე დღეა წყვეტს მუშაობას. ეს დრო სამშობლოში, იტალიაში გაემგზავრება. იქ, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე მალანო მარტიში ინტერ-ვიუ მისცა იტალიურ გაზეთ "il Giornale", სადაც მადრიდის "რეალში" მიმდინარე საქმიანობაზე საუბრობს.

**- მართალია, რომ "რეალის" მწვრთნელად აღბურთო ძაკე-რონის მიწვევა გასურდათ?**

- სიმართლე თუ გინდათ, "რეალში" მისვლის დროს მე არ მსურდა მწვრთნელის შეცვლა, რადგან სიტუაციის შეფასების დრო არ მქონდა. მაგრამ პრეზიდენტ ჩემპიონის პირდაპირი და თავდაჯერებული იყო: "შეხვედით, - მითხრა მან, - თუ ახლა ახლა არ გავაკეთებდით, მაშინ სამომავლოდ თქვენ მოგიხდებოდათ მწვრთნელის პოსტის დაკავება". მე ვუპასუხე: "მაშინ ეს საკმარისად გავაკეთებ". ძაკე-რონი მეტაფორულად კანდიდატებს შორის ფიგურირებდა. მაგრამ მას ერთი უარყოფითი მოვლენა ახლდა. ის იტალიელია, მეც და კლუბში მითხრეს, რომ თუ მას არაფერი გამოუვიდოდა, ყველაფერს მე და-

მაბრალდებდნენ. მე არჩევანი შევაჩერე ლუშემბურგოზე, რომელსაც აგრეთვე კარგად ვიცნობდი.

**- თუმცა, ჩემპიონატი "ბარსელონამ", თქვენი აღსაზრდელის რაიკაარდის გუნდმა მოიგო. როგორი იყო ეს ჩემპიონატი?**

- "ბარსელონამ" ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა, რადგან ის კარგად თამაშობდა და ფორტუნაც მის მხარეზე იყო. თუმცა, ჩვენ მათზე ზენოლა განვახორციელეთ. მათ დიდი გარჯა მოუხდათ იმისთვის, რომ ესპანეთის ჩემპიონები გამხდარიყვნენ.

**- მილანში გიუტად ამტკიცებენ, რომ რონალდოსადმი ინტერესი არსებობს. თქვენ ფიქრობდით რონალდოს გაყიდვას?**

- რონალდო მსოფლიო ფეხბურთში კვლავ პირველი ნომერია. თუ ის ვარჯიშს რამენაირი ინტერესით მაინც უდევს და ამით თავის სიზარმაცეს თრგუნავს, მას შეუძლია ყველა ალტერნატივა გაატაროს. ის ხმები კი, რომლებზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, მადრიდის "რეალისგან" კი არ მოდის, არამედ რონალდოს გარემოცვიდან, რომლებიც ამბობენ, რომ რონალდოს სწყინს, როცა გულ-



შემატიკიარი უსტვენს. მაგრამ ის მგრძობიარე და ნაზი ადამიანია. ასე რომ, ეს განცდები გაივლის.

**- რონალდო ფენომენია, მაგრამ "რეალმა" მასთან ძალიან ცოტა ტიტული მოიგო...**

- ისეთ დიდ ჩემპიონს, როგორც რონალდო, შეუძლია შენთვის მატრი მარტომ მოიგოს, მაგრამ იმისთვის, რომ ჩემპიონატი გაიმარჯვო, გუნდური სულისკვეთებაა საჭირო. მისი სიტუაცია შეიძლება ვიერის ან ბაჯოს სიტუაციას შეადარო. ვიერიმ "იუვენტას" ერთად ერთადერთი "სკუდეტო" მოიგო. ბაჯომ კი ერთხელ იმარჯვა "მილანთან" ერთად, მაგრამ ისინი მუდმივად ირიცხებიან თავიანთი გუნდების ძირითად შემადგენლობაში.

**- დევიდ ბექჰემი როგორ მოგონთ?**

- ბექჰემი ერთ-ერთი შესანიშნავი პროფესიონალია მათ შორის, რომლებიც მადრიდში გაცივანია. მის არსენალში არტისტული ფინტები არ არის, ამიტომ ის ვერ ხვდება მადრიდელი გულშემატიკორის გულში, მაგრამ ჩემთან, "მილანში", ის მუდმივად ითამაშებდა. - როგორ გრძობს თავს არი-

გო საკი მადრიდში?

- ვგრძობ, რომ მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულ კლუბში ვარ. ერთ მაგალითს მოვიტან: რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენ ჩინეთსა და იაპონიაში ტურნე გვექნება, რისთვისაც 25 მილიონ ევროს მივიღებთ. პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი რაღაცით ჯადოქარს ჰგავს. მან საფარჯიშო ბაზისთვის იაფად შეიძინა მიწა, რომელიც ახლა მთელი ქონებაა.

**- თქვენ რობინოს შეიძენთ?**

- თუ ჩვენ რობინოს შევიძენთ, ამისთვის უფრო ნაკლებ თანხას დავხარჯავთ, ვიდრე ჰგონიათ და ვიდრე სხვა ფეხბურთელებისთვის გვთხოვენ.

**- მადრიდის "რეალი" ჯილბარდის შექმნისთვის რატომ არ იბრძობა?**

- "რეალს" არ ჰყავს მეცენატი, რომელიც საბანკო დავალიანებებს გაისტუმრებდა. ეს კლუბი თვითდაფინანსებაზე უნდა იყოს. ამისთვის კი საჭიროა გუნდში ისეთი ფეხბურთელები გყავდეს, რომლებსაც შეუძლიათ სპონსორები მოიზიდონ და მათსურები გაყიდონ.

## მადრიდელი მეფე

ბრაზილიაში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ თუ მადრიდის "რეალს" დიდი მიღწევების განცხადება მოენატრა, მას აუცილებლად დასჭირდება ვანდერლეი ლუშემბურგოს კალიბრის მწვრთნელი. მაგრამ როცა ეს საკმარისად განხორციელდა და ლუშემბურგო მადრიდის "რეალს" ჩაუდგა სათავეში, "სანტოსის" გულშემატიკართა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ევროპაში ლუშემბურგოს შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ. მხოლოდ ის, რომ 1998-2000 წლებში ის ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ედგა სათავეში, მაგრამ გუნდს ხეირიანი ვერაფერი მოაგებინა. სამშობლოში კი მას ბევრად უფრო დიდ პატივს სცემენ, ვიდრე ევროპაში. ბრაზილიელთათვის ლუშემბურგო ის მწვრთნელია, რომელსაც შეუძლია არა მარტო შემტევი გუნდი ჩამოაყალიბოს, არამედ მასთან ერთად ნარმატებასაც მიაღწიოს.

მადრიდის "რეალში" ლუშემბურგოს დებიუტი უაღრესად დრამატული გამოდგა. მადრიდის "რეალისა" და სან-სებასტიანის "რეალ-სოსიედადის" მატჩი 84-ე წუთზე შეწყდა, რადგან გამოაცხადეს, რომ სტადიონზე ბომბი იყო დამონტაჟებული. ლუშემბურგოს პირველი ამოცანა იმ ექვსი წუთის დასრულება იყო, რომელიც იმ მატჩის დამთავრებამდე დარჩა. ამ ექვსი წუთის განმავლობაში რონალდომ პენალტი გამოიმუშავა, ზიდანმა კი მისი რეალიზაცია მოახერხა და "რეალმა" ის მატჩი მოიგო. "უკეთეს სტარტს ვერც ინატრებდა ადამიანი. იმ მომენტში ფეხბურთელებმა კვლავ ირწუნეს საკუთარი ძალეობი", - განაცხადა ვანდერლეი ლუშემბურგომ ჟურნალ "ჩემპიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ლუშემბურგომ თავის ახალ კლუბში სახელი და პატივისცემა მას შემდეგ მოიხვეჭა, რაც "რეალმა" ზედიზედ შეიძინა გამარჯვება მოიპოვა. ბრაზილიელს არასოდეს ამინებდა, სათადარიგოთა სკამზე დაესვა რონალდო ან კლუბის ნებისმიერი სხვა ვარსკვლავი და ამით ყველასთვის ეჩვენებინა, თუ ვინ არის გუნდში მთავარი. სულ მალე კლუბში მოვიდა ფიზიომზადების მწვრთნელი ანტონიო მელო, რომელთან ერთადაც ლუშემბურგომ ბრაზილიის ჩემპიონის სამი ტიტული, სხვადასხვა გუნდთან ("კორინთიანსი", "კრუსაირო" და "სანტოსი") ერთად მოიგო.

დევიდ ბექჰემი და ზინედინ ზიდანი ამბობენ, რომ მელოს მოსვლით აბსოლუტურად ყველაფერი შეიცვალა. მელოს ტაქტიკა მოთამაშეთა მოტივებზე არის დაფუძნებული. ფიზიკური დატვირთვის ყველა ელემენტი ბურთთან ერთად კეთდება, რათა ფეხბურთელების ვარჯიში მოსაწყენი არ იყოს. "შედეგები იგივე რჩება, მაგრამ ფეხბურთელი სიამოვნებას განიცდის და ვერც კი ამჩნევს, რომ ფიზიკურ კონდიციებს ხევენ", - ამბობს თვითონ მელო.

ვანდერლეი ლუშემბურგოს რეველუციის მოწყობაში დიეტოლოგი პატრისია ფერნანდეს ტიერიერაც დაეხმარა. მისი დიეტა რონალდოს დაეხმარა, ექვსი კილოგრამი დაეკლო და სეზონის ბოლოს იდეალურ ფორმაში ჩამდგარიყო. რონალდოს, ისევე როგორც მის თანაგუნდელ ბექჰემს, ხშირად სიზარმაცეში ადანაშაულებენ, თუმცა, ლუშემბურგო ინგლისის ნაკრების კაპიტანს იცავს. "მთელ მსოფლიოში გავრცელდა სრულიად მცდარი წარმოდგენა იმაზე, რომ ბექჰემი მადრიდის "რეალს" მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ მისი მათსურა საფრინად გაყიდოს, - განაცხადა მადრიდის "რეალის" მწვრთნელ-



არიგო საკი, ემილიო ბურჯანი და ვანდერლეი ლუშემბურგო მადრიდის "რეალის" პოლიტიკის განსაზღვრევენ.

მა, - მეც ვფიქრობდი, რომ ის ზარმაცობდა, მაგრამ ვცდებოდი. ის ბევრს ვარჯიშობს, ყოველთვის მზად არის დახმარებისთვის და თავგამოდებით მოქმედებს. მე მასთან არაფერს არავითარი პრობლემა არ მქონია. მოხარული ვარ, რომ დევიდ ბექჰემი ჩემს გუნდში თამაშობს".

ლუშემბურგოს ფეხბურთელები ფეხბურთის მიმართ კვლავ მისწრაფებას გრძობენ, მხოლოდ "რეალის" ახალწვეული რობინო ოცნებობს დაამტკიცოს, რომ მადრიდში ტყუილად არ ჩასულა. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს ვივარუდოთ, რომ მადრიდის "რეალი", ბოლოს და ბოლოს, წარსულს ჩააბარებს ბოლო ორი წლის წარუმატებლობას და 2005-2006 წლების სეზონს აღმავლობით ჩაატარებს. ლუშემბურგომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ აპირებს სამშობლოში ტიტულის გარეშე დაბრუნებას.

"მე შუა გზაში გავხეი გემის კაპიტანი, - განაცხადა ლუშემბურგომ, - ძალიან ძნელია ერთბაშად ყველაფრის შეცვლა. აქ სხვა კულტურაა. თუმცა, გასულ სეზონში იმაზე მეტი გავაკეთე, ვიდრე ვვარაუდობდი. ამიტომ ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. მე აქ მომწონს და გამარჯვებებით მშვიდი ვახლავართ. ხოლო როცა თქვენ გმიათ, არაფრის წინაშე უკან არ დაიხვეთ. ვერც ცივი ზამთარი და ვერც რომელიმე სხვა სირთულე ვერ მაიძულებს, ყურები ჩამოვიყარო და დავნებდე. ბრაზილიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები, როცა ჩემს სამუშაოს აქ ბოლომდე მივიყვან".

თარგმანიდან "24 საათი" ინგლისურად. English newspaper 24 Hours, coming out from February

გაგონარით. on subscription basis

e-mail: public@24hours.ge Tel: 20 24 24 Fax: 20 24 25







